THE GEORGIAN CASE OF COLLECTIVIZATION: STATE POWER AND AGRICULTURAL TRANSFORMATION IN THE SOVIET UNION

საბჭოთა საქართველოს კოლექტივიზაციის გამოცდილება: სახელმწიფოს ძალაუფლება და ეკონომიკური გარდაქმნა

TAMTA TKHELIDZE
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
PhD Candidate, History Doctoral Program
1, Ilia Chavchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
Phone: +995 32 2 25 04 84
Email: tamtatkhelidze@gmail.com
ORCID: https://orcid.org/0009-0007-6475-9701

Abstract

Collectivization became one of the largest and most tragic social events, for the Soviet Union, which significantly changed the structure of rural economy. The beginning of industrialization-collectivization affected not only the economy, but also agricultural production. As well as subsequent post-Soviet urban development.

The Russian Revolution created a new political reality, the goal of the socialist revolution was to create a state in which there would be no private property and people would unite in councils that would solve their needs at the local level. It was necessary for the economically backward former Russian Empire to develop quickly, as it was facing great challenges. As a result of the Russian Revolution, the empire collapsed and countries took advantage of the current situation, separated from Russia and declared independence. In Russia itself, a civil war was underway, despite the Bolshevik victory in Russia in 1921 and the restoration of the borders of the old empire, there was still a threat both from internal conflicts and from capitalist countries.

In 1918-1921, economic control was established in Russia, the country declared nationalization, enterprises were transferred under state control, which prepared the ground for the New Economic Policy (NEP). The Soviet Union was unable to develop an optimal economic policy for itself, it was constantly associated with the change of leaders, Joseph Stalin introduced a centrally planned economy, which was supposed to rapidly develop agriculture and limit the number of small entrepreneurs that had increased as a result of the NEP policy. N. Khrushchev, who came to power after Stalin's death, placed the main emphasis on the development of agriculture. His goal was to eliminate the industrial problems that had arisen during the time of j. Stalin.

The centralization of agriculture in the hands of the state resulted in mass starvation, and later became a prerequisite for the beginning of repressions. The implementation of the set economic and political plans failed due to their scale and lack of resources, over time, due to the unformed economic policy, the collapse occurred and the Soviet Union collapsed, which posed more problems to the countries that gained independence.

Key words: Industrialization; Five-year plan; Collectivization in Georgia; Nep; kulaks.

თამთა თხელიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დოქტორანტი- ისტორიის სადოქტორო პროგრამა
ქ. თბილისი,0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. N1, საქართველო.
ტელ: (+995 32) 2 25 04 84
tamtatkhelidze@gmail.com
https://orcid.org/0009-0007-6475-9701

აბსტრაქტი

საბჭოთა კავშირისათვის კოლექტივიზაცია იქცა ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ და ტრაგიკულ სოციალურ მოვლენად, რომელმაც მნიშვნელოვნად შეცვალა მოეურნეობის სტრუქტურა. ინდუსტრიალიზაცია-კოლექტივიზაციის პროცესის დაწყებამ გავლენა იქონია არამხოლოდ ეკონომიკაზე, არამედ სოფლის მეურნეობის წარმოებაზე, ისევე როგორც პოსტ-საბჭოთა ურბანულ განვითარებაზე.

რუსულმა რევოლუციამ შექმნა ახალი პოლიტიკური რეალობა. სოციალისტური რევოლუციის მიზანი იყო შეექმნა სახელმწიფო, სადაც არ იქნებოდა კერძო საკუთრება, საბჭოებში კი გაერთიანდებოდნენ ადამიანები, რომლებიც ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტდნენ თავიანთ საჭიროებებს.

ეკონომიკურად ჩამორჩენილი ყოფილი რუსული იმპერიისათვის აუცილებელი იყო სწრაფად განვითარება, რადგან დიდი გამოწვევების წინაშე იდგა. რუსეთის რევოლუციის შედეგად იმპერია დაიშალა და მასში შემავალმა ქვეყნებმა ისარგებლეს რა შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობით, გამოეყვნენ რუსეთს და გამოაცხადეს დამოუკიდებლობა.

1918-1921 წლებში რუსეთში დაწესდა ეკონომიკური კონტროლი, ქვეყანამ გამოაცხადა ნაციონალიზაცია,-საწარმოები გადავიდა სახელმწიფო კონტროლის ქვეშ, რამაც საფუძველი მოამზადა ახალი ეკონომიკური პოლიტიკისათვის (ნეპი).

იოსებ სტალინმა შემოიღო ცენტრალიზებური გეგმიური ეკონომიკა, რომელსაც სწრაფად უნდა განევითარებინა სოფლის მეურნეობა და შეეზღუდა ნეპის პოლიტიკის შედეგად გაზრდილი წვრილი მეწარმეების რაოდენობა. ი. სტალინის გარდაცვალების შემდეგ სათავეში მოსულმა ნ. ხრუჩოვმა მთავარი აქცენტი სოფლის მეურნეობის განვითარებაზე გააკეთა. მისი მიზანი იყო ი. სტალინის დროს გაჩენილი ინდუსტრიული პრობლემების აღმოფხვრა.

საბჭოთა სახელმწიფოს მიერ სოფლის მეურნეობაში განხორციელებულმა არასწორმა რეფორმებმა, შედეგად მოიტანა მასობრივი შიმშილი, ხოლო მოგვიანებით რეპრესიების დაწყების წინაპირობა გახდა. დასახული ეკონომიკური და პოლიტიკური გეგმების განხორციელება, მათი მასშტაბებისა და რესურსის არქონის გამო, ვერ მოხერხდა. დროთა განმავლობაში ჩამოუყალიბებელი ეკონომიკური პოლიტიკის გამო შეიქმნა კოლაფსი და საბჭოთა კავშირი დაინგრა, რამაც დამოუკიდებლობამოპოვებული ქვეყნები უამრავი პრობლემის წინაშე დააყენა.

საკვანძო სიტყვები: ინდუსტრიალიზაცია; ხუთწლიანი გეგმა; კოლექტივიზაცია საქართველოში; ნეპი; კულაკი.

შესავალი

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს ცვლილებების ტალღამ მთელ მსოფლიოს გადაუარა. სულ უფრო აშკარა ხდებოდა, რომ საჭირო იყო ახალი პოლიტიკური დღის წესრიგის შემოტანა, რასაც ხელს უწყობდა ტექნოლოგიური პროგრესი და ეკონომიკის მზარდი განვითარება. ბუნებრივია, ამ პოლიტიკური პროცესის მიღმა რუსეთი ვერ დარჩებოდა. ცარიზმის პირობებში რევოლუციამ და სოციალისტურმა მოძრაობამ ჩაგრულ ხალხს შესაძლებლობა მისცა გათავისუფლებულიყო მონური მდგომარეობისაგან.

რევოლუციამ ჩაგრულ კლასს თავისუფლების მოპოვების შესაძლებლობა მისცა. სოციალისტური იდეის გარშემო ადამიანების გაერთიანებას მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდა, ეცხოვრათ უკეთეს რეალობაში, გამხდარიყვნენ სახელმწიფოს სრულფასოვანი წევრები.

იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირი ევროპას სწრაფი ნაბიჯებით დასწეოდა, საჭირო იყო ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერება, რაც თავის მხრივ, გულისხმობდა სოფლის მეურნეობის განვითარებასაც. კომუნისტური პარტიის გადაწყვეტილებით მსხვილ კოლექტიურ მეურნეობებში გლეხები ნებაყოფლობით უნდა გაერთიანებულიყვნენ. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გლეხური მეურნეობები გაიზარდა, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. მცირე წარმოება მოძველებული იარაღების გამო ქმნიდა საქონლის დეფიციტს, რადგან ვერ აკმაყოფილებდა ჭარბ მოთხოვნას. აღნიშნული პრობლემ, რა თქმა უნდა, აფერხებდა მსხვილი მრეწველობის განვითარებას.

1921 წელს საბჭოთა ხელისუფლების გადაწყვეტილებით მიღებული მიწის დეკრეტის თანახმად, მიწა მშრომელი ხალხის საკუთრება გახდა. აიკრძალა მიწის გასხვისების ყოველგვარი ფორმა. მემამულეების, მსხვილი მეწარმეებისა და ეკლესიებათვის ჩამოერთმეული მიწები ირიცხებოდა სახელმწიფო ფონდში, რომელიც შემდეგ ადგილობრივი ორგანოების განკარგულებაში გადადიოდა. ადგილობრივი მიწის კომიტეტები ანაწილებდნენ მიწას და მიწათმფლობელებს ართმევდნენ კუთვნილ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს, რაც გააჩნდათ.

ვლადიმერ ლენინის პოლიტიკის თანახმად, პერიფერია რჩებოდა საკუთარი მრეწველობის გარეშე. შესაბამისად, რუსეთი კვლავ რჩებოდა მსხვილი მანუფაქტურის მწარმოებლად და მთელი ეკონომიკური სახსარი კვლავ მასზე გადიოდა. ვ. ლენინის ამ ხედვაში ახალმა პარტიულმა ხელმძღვანელობამ საფრთხე დაინახა. ასეთი მიდგომა მცირე ერებს საშუალებას აძლევდა მეტად თავისუფლად ემოქმედათ და პირადი ავტონომია გაეძლიერებინათ, რაც საბოლოო ჯამში გამოიწვევდა ერის თვითგამორკვევის საბურველქვეშ დამოუკიდებლობის მოთხოვნასა და სოციალისტური ერთობის გაუქმებას.

მას შემდეგ, რაც ახალმა ეკონომიკურმა (ნეპის) პოლიტიკამ არ გაამართლა და ეკონომიკური თავისუფლების მიღებით სოციალისტური იდეის წარმოება შეუძლებელი გახდა, პარტიამ იოსებ სტალინის ხელმძღვანელობით შეცვალა გეზი და სრულიად ახალი ეკონომიკური ხედვა წარადგინა. ეს იყო ცენტრალიზებული გეგმიური ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ინდუსტრიალიზაცია-კოლექტივიზაციას სახელმწიფოს მთავარ პრიორიტეტად აქცევდა, შედეგად კი სოფლის მეურნეობა და მძიმე მრეწველობა გაძლიერდებოდა.

ინდუსტრიალიზაციის დაჩქარების მიზეზი განპირობებული იყო რამდენიმე ფაქტორით: ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო. ი. სტალინსა და მის თანამოაზრეებს, შესაძლებლობა ეძლეოდათ მოესპოთ პარტიის შიდა კონკურენცია. ამავდროულად, ნათელი იყო, რომ შორეულ პერსპექტივაში ნეპი სრულიად სხვა შედეგს მოიტანდა, რადგან გლეხებს შორის იყვნენ ადამიანები, რომლებმაც ისარგებლეს არსებული ეკონომიკური ფორმით და შეძლეს კაპიტალის დაგროვება. გლეხობის დიდი ნაწილი კი კვლავ სიღარიბეში რჩებოდა.

არაეფექტურმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ და რესურსების არასწორმა განაწილებამ გამოიწვია სისტემური პრობლემები, მასობრივი შიმშილი და რეპრესიები.

კვლევის მნიშვნელობა: ნაშრომი აგებულია მულტიდისციპლინური მიდგომით და მიზნად ისახავს არა მხოლოდ საბჭოთა საქართველოს აგრარული პოლიტიკის ისტორიული პროცესების აღწერას, არამედ კოლექტივიზაციის სოციალური და პოლიტიკური შედეგების გააზრებას, როგორც სახელმწიფო ძალაუფლების ინსტრუმენტის.

კვლევის მეთოდოლოგია

1. ისტორიული ანალიზი. ნაშრომი ეფუძნება არქივში დაცული დოკუმენტების, საბჭოთა პერიოდული პრესის, პარტიული რეზოლუციებისა და თანადროული წყაროების ანალიზს. გამოყენებულია როგორც ოფიციალური სტატისტიკა, ისე ღია წყაროები (გაზეთები: „კომუნისტი“, „კოლექტივიზაცია“ და სხვ.) და არსებული კვლევები.
2. შინაარსობრივი ანალიზი (Content Analysis). პროპაგანდისტული სტატიებისა და ოფიციალური პოლიტიკური დისკურსის შინაარსობრივი ანალიზი, რაც მიზნად ისახავს დისკურსული სტრატეგიების ამოცნობასა და სტალინური ეკონომიკური პოლიტიკის ლეგიტიმაციის გზების გაანალიზებას.

დისკუსია და შედეგები

დიდი გარდატეხა ეკონომიკაში

სახელმწიფო ეკონომიკაში განცდილმა კრახმა პარტიის შიგნით გააჩინა ეჭვი და შიში საბჭოთა კავშირის დაშლის თაობაზე. საბჭოთა ყოველდღიურობაში ჩნდება ტერმინები: *უკლონიზმი, შოვინიზმი, კულაკობა* და სხვა. ყველა, ვინც პარტიულ ხაზს არ დაექვემდებარა, მავნებელ ელემენტად ჩაითვალა.

1929 წელი საბჭოთა კავშირისათვის დიდი გარდატეხის დასაწყისია. პარტიის მე-16 ყრილობაზე მიღებულ იქნა 5-წლიანი გეგმა და გამოცხადდა ბრძოლა კულაკობასთან. საბჭოთა წყობილებისადმი კრიტიკულად განწყობილი კულაკები თავიანთი საცხოვრებლებიდან უნდა აეყარათ და ოლქის განაპირა რეგიონებში, კოლექტივიზირებული ზონების მოშორებით, ურწყავ და მოუსავლიან მიწებზე ჩაესახლებინათ (ს. კურტუა, 2011, გვ. 142-143).

ადამიანები ხშირად ბოროტად სარგებლობდნენ საკუთარი ძალაუფლებით და უდანაშაულო ხალხს სჯიდნენ. დისკრიმინციის მკაფიო მაგალითი კარგად ჩანდა 20-იანი წლების დასაწყისში საკვები რაციონისა და ბინების გაცემის მაგალითზე. ადამიანები, რომლებიც წარმოადგენდნენ გარკვეულ სოციალურ კლასს მაგ: იყვნენ უცხოელები, ვაჭრები, კულაკები არ ჰქონდათ ხმის მიცემის უფლება (Sheila Fitzpatrick, 1991 , p. 13). საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რეგიონებში გადაწყდა 20 ათასი კულაკის გადასახლება, სტატისტიკურად ციფრებში ეს ასე გამოიყურებოდა:

1. ყუბანის რაიონი - 3700 მეურნე;
2. დონის რაიონი - 2700 მეურნე ;
3. არმავირის რაიონი - 2200 მეურნე;
4. ტერსკი- 2200 მეურნე;
5. მარიოუპოლი- 1500 მეურნე;
6. სალსკი- 1500 მეურნე;
7. შახტინო-დონეცკი- 1500 მეურნე;

8. სტავროპოლი- 1200 მეურნე;
9. ჩერნომორსკი- 300 მეურნე;
10. სენჟენსკი და პეტროპავლოვსკი- 200 მეურნე;
11. ადიღეა-200 მეურნე (150 ჩერქეზი, 50 რუსი მეურნე);
12. ყარაჩაი- 75 მეურნე;
13. ყაბარდო-ბალკანეთი- 350 მეურნე;
14. ოსეთი - 300 მეურნე;
15. ინგუშეთი- 150 მეურნე;
16. ჩეჩნეთი -500 მეურნე; (Алексеевич, 2004 , стр. 101)

საქართველოში 1925 წლის 14 თებერვლისთვის აჭარის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების თანახმად მოხდა 177 მოახალშენის მამულის კონფისკაცია და ნაციონალიზაცია, 1927 წლის აჭარის საბჭოს VII ყრილობის დელეგატების არჩევნებზე ხმა ჩამოერთვა ხულოში 141 ამომრჩეველს, ქედას 237, ქობულეთის 295, ბათუმისა- 5429 ადამიანს, 1928 წლისთვის -116 , 1929 წელს-87 და 1930 წელს 132 კულაკს (თურმანიძე, 2019, pp. 67-70).

1929 წლის 8 აპრილს გაიხსნა საქართველოს კომუნისტური პარტიის მეხუთე ყრილობა, რომელზეც დამტკიცდა სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმა. მასობრივი პროპაგანდისა და ძალდატანებითი პოლიტიკის შედეგად წლიდან წლამდე იზრდებოდა კოლმეურნეობებში შემავალ მოქალაქეთა რიცხვი. უკვე 1937 წლისთვის ეს რიცხვი 375116 ადამიანს წარმოადგენდა (საქართველოს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XX წლის თავზე, 1937). იხ. ცხრილი:



ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობა სწრაფი ნაბიჯებით უნდა განვითარებულიყო, რისთვისაც საჭირო იყო გლეხობის ცოდნის დონის ამაღლება, რადგან მათ არ გააჩნდათ საკმარისი განათლება საექსპორტოდ გასატანი პროდუქტების მასობრივი წარმოებისთვის.

30-იანი წლების დასაწყისში მთელ საბჭოთა კავშირში სურსათის დეფიციტი იმდენად დიდი იყო, რომ გადაწყდა დახმარება აღმოეჩინათ მხოლოდ საზოგადოების გარკვეული ნაწილისათვის. სახელმწიფო ამარაგებდა ისეთ საწარმოებისა და დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეებს, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდათ მრეწველობის განვითარებაში. პრიორიტეტული იყო ჯარი, რკინიგზის მუშები, ჯანმრთელობისა და სახალხო კომისარიატები, ინტერნატის ბავშვები, ავადმყოფი მუშები (კომუნისტი, სურსათი, 1921).

ი. სტალინი კოლმეურნეობების გაძლიერების საშუალებად არტელებს ხედავდა. არტელის განვითარება და მეურნეობის გაძლიერება, მისი აზრით, თავისთავად გაანადგურებდა კულაკებს. იმის გამო, რომ პარტიას არ გააჩნდა მკაფიო პოლიტიკა,

ინსტრუქციები ბუნდოვანი იყო და ხშირად ადგილობრივ დონეზე ადამიანები ამ წესებს სათავისოდ იყენებდნენ. ამის გამო პარტიულ ლიდერებს უწევდათ ხელახალი განმარტებების გაკეთება. ფილიპე მახარაძე წერდა:

„სას. სამეურნეო არტელებში უნდა გაეერთიანებინათ მხოლოდ და მხოლოდ წარმოების ძირითადი საშუალებები: მიწა, მუშა-საქონელი, სასოფლო-სამეურნეო იარაღები, კულაკებისგან ჩამორთმეული შენობები. ამის შესახებ თავიდანვე იყო მითითებები და არსებითად არტელიც ამას თხოულობდა. მაგრამ ალაგ-ალაგ აღმოჩნდნენ ისეთი „ბრძენი“ ადამიანები, რომლებმაც მოინდომეს ერთბაშად ყველაფრის გაერთიანება (ქათმის, ღორის, ძროხის, საჯდომი ცხენის და სხვადასხვა). შემდეგ განკულაკების და კულაკების მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებიდან გადასახლების ნიადაგზე უნდა ითქვას, რომ საკმარისად ბევრგან ჰქონდა ადგილი დიდ შეცდომებს და ალაგ- ალაგ კი პირდაპირ დანაშაულსაც“ (მახარაძე, 1930, გვ. 6).

ცენტრის ხისტმა პოლიტიკამ, ადამიანების კოლექტივებში გაწევრიანების შესახებ იმუშავა. 1930 წლის 5 იანვარს საკავშირო კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დადგენილება მიიღო, გაეძლიერებინა რაიონული და სოფლის ორგანიზაციები, რათა აქტიურად ჩართულიყვნენ კოლექტივების საქმიანობაში.

1930 წლის ბოლოს პარტიამ შეძლო სოფლის მეურნეობაში მომუშავე პირთა 3/4-ის კოლმეურნეობაში შეყვანა და წამოაყენა ლოზუნგი: „საბჭოები- პირით კოლმეურნეობისკენ“ (რედ. მერკვილაძე ვლ, 1961, გვ. 547). ამ წელს ყველაზე მეტი ადამიანი გაერთიანდა კოლმეურნეობებში.

1936 წლისთვის საბჭოთა კავშირის მასშტაბით ირიცხებოდა 26 მილიონამდე მუშა და მოსამსახურე: საქართველოში მომუშავე მუშათა რაოდენობა წვრილ მრეწველობაში 1928 წელს შეადგენდა 142,9 ათასს, ხოლო 1936 წლისთვის 342 ათასმდე გაიზარდა. მსხვილი მრეწველობაში 1928 წელს იყო 18,2 ათასი ადამიანი და 1936 წლისთვის გაიზარდა 63, 5 ათასამდე. საინჟინრო ტექნიკური პერსონალი-საქართველოს საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობაში 1932 წლის 1- ელი ივლისისთვის იყო 2040 ინჟინერ-მექანიკოსი, 1937 წელს გაიზარდა 5893 -მდე (კომუნისტი, 1937).

პირველი ხუთწლედის გეგმის თანახმად, უნდა გაძლიერებულიყო ავტონომიური რესპუბლიკების ეკონომიკა. ინდუსტრიული განვითარების დაჩქარების პარალელურად მძაფრად გამოჩნდა ის პრობლემები, რომელიც ქვეყნის შიგნით არსებობდა. 1935 წელს მილიციის ხელმძღვანელებთან შეხვედრის დროს გაკეთებულ მოხსენებაში ეჟოვმა განსაკუთრებულად გაუსვა ხაზი, რომ კრიმინალი პირდაპირ კავშირში იყო კლასობრივ ბრძოლასა და კონტრრევოლუციასთან (P, 2014, გვ. 39). აუცილებელი იყო კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება, რთული აღმოჩნდა კოლმეურნეობებში ადამიანების გაერთიანება. პარტიამ დასახა გეგმა, აქტიურად ეწარმოებინა კამპანია მოსახლეობის კოლმეურნეობებში შესაყვანად.1928 წლიდან 1929 წლამდე კოლმეურნეობების ციფრი გაიზარდა 2-ჯერ, რაც კარგი მაჩვენებელი იყო. მიუხედავად ამისა, ქვეყნის მასშტაბით რჩებოდა ისეთი რეგიონები, სადაც ეს პროცესი რთულად მიმდინარეობდა.

აფხაზეთისა და აჭარის რეგიონში ჩამორჩენა 1937 წლამდე საკმაოდ დიდი იყო, თუმცა, ტროცკისტული ჯგუფების მასობრივად გამოაშკარავებისა და მათ წინააღმდეგ სასამართლო პროცესების დაწყებამდე, პრობლემას არ წარმოადგენდა.

მაღალმთიან რეგიონებში, საქართველოს ზღვისპირეთში, მთიან რეგიონებში მაგალითად სვანეთში, სომხეთში, ყირგიზეთში, აზერბაიჯანსა და უზბეკეთში 30-იან წლებში კლავ მიჰყვებოდნენ ძველ ადათ- წესებს. ნაკლები იყო კომპარტიის გავლენა, ძალიან დაბალი იყო წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი, დიდი იყო სასულიერო პირებისა და თემის საბჭოს გავლენა. ბოლშევიკები ყველანაირად ცდილობდნენ არსებული წეს-ჩვეულებების შეცვლას. სვანეთი, რომელიც, დიდი ხნის განმავლობაში რჩებოდა ჩაკეტილ სივრცედ, საბჭოთა ხელისუფლებას უწევდა მძაფრ წინააღმდეგობას.

კოლექტივიზაციის პროპაგანდის საუკეთესო მაგალითი არის 1930 წელს გადაღებული მიხეილ კალატოზიშვილის ფილმი „ჯიმ შვანთე“ („მარილი სვანეთს“), რომელიც მხოლოდ ოთხი დღე აჩვენეს ეკრანებზე. ფილმი გადმოგვცემს ფეოდალი მთავრების მიერ გაწამებული გლეხობის ცხოვრებას, მათ ჩამორჩენილ მძიმე ყოველდღიურ ყოფას. მშრომელი სვანები ხელში იღებენ წერაქვებს და იწყებენ კლდის ჩამონგრევას გზების გასაყვანად. მაღალმთიან რეგიონებში, კოლექტივიზაცის დაწყებამდე პარტიამ საჭიროდ ჩათვალა განევითარებინა კოოპერაციები. ესენი იყო საწარმო და გამსაღებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია და სამანქანო ამხანაგობა, რის შემდეგაც გაიოლდებოდა კოლექტივიზაციაზე გადასვლის პროცესი. პარტიის გადაწყვეტილებით კულაკებს უნდა ჩამორთმეოდათ იმ მიწის ის ფართობი, რომელსაც არ ამუშავებდნენ.

გაზეთებში წერდნენ, რომ მუშათა რაოდენობის ზრდასთან ერთად მატულობდა დასაქმებულთა ხელფასებიც. გაზეთ „კომუნისტის“ ცნობით, 1937 წლისთვის საქართველოში სახალხო მეურნეობაში დასაქმებულთა წლიური ხელფასი საგრძნობლად გაიზარდა. 1928 წელს შეადგენდა 846 მანეთს, 1936 წლისთვის გაიზარდა 3014 მანეთამდე. მსხვილ მრეწველობაში 1928 წლისთვის ხელფასი შეადგენდა 882 მანეთს, 1936 წლისთვის გაიზარდა 2852 მანეთამდე (საქართველოს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XX წლის თავზე, 1937). გაზეთების ცნობით, ასევე იზრდებოდა საქართველოს ფულადი შემოსავალი. იწერებოდა სტატიები ბედნიერ მუშებზე, რომლებიც სიხარულით ასრულებდნენ გეგმებს. ამ მნიშვნელოვანი ზრდის ფონზე არსებობდა სხვა რეალობა, რეგიონებში სხვადასხვა დანიშნული თანამდებობის პირები ვერ ასრულებდნენ საკუთარ მოვალეობას. გაჩნდა ე.წ. „წითელი ინტელიგენცია“, ხშირ შემთხვევაში მაღალ თანამდებობას იკავებდნენ ისეთი ადამიანები, რომელთაც არ გააჩნდათ შესაფერისი ცოდნა.

გეგმის გადაჭარბების შესრულებისათვის ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ქალაქები, კოლმეურნეობები, ქარხნები. 1932 წელს „საქთევზის“ განცხადებით, საქართველომ თევზის ჭერის წლიური გეგმა შეასრულა და დაიჭირა 29.743 ცენტნერი თევზი, რაც შეადგენდა საკავშირო გეგმის 197,6 %, ხოლო საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ მოცემული გადიდებული გეგმის 110.0 %-ს. პირველი იანვრისათვის იგეგმებოდა 80 ათასი ცენტნერის დაჭერა და გეგმის შესრულება (კომუნისტი, საქართველოს მსუბუქ მრეწველობას- მაღალი ტემპები., 1932).

„სტახანოვური შრომის შედეგად“ ლანჩხუთში 1937 წლის 18 სექტემბრისთვის ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა გადამეტებით შესრულდა, მოიკრიფა 217 000 კგ ჩაის მწვანე ფოთოლი 100 000-ის ნაცვლად. ქვემო ნოქარის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა განიხილეს სოფელ ბოდბის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა მიმართვა წინასაოქტომბრო შეჯიბრების შესახებ და გადაწყვიტეს სიმინდისა და სოიოს მოსავლის 25 ოქტომბრამდე უდანაკლისოდ აღება, ასევე ასაღები მოსავლის რაოდენობის გაზრდა 11 დან 14-მდე (გოგიაშვილი, 1937).

ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, ყოველ წელს საგრძნობლად იზრდებოდა ჩაის მოსავალი, ირგვებოდა ციტრუსოვანი ხეები. საბჭოთა მეურნეობებში 1937 წლისათვის დარგული იყო სულ 146 335 ხის ციტრუსოვანი ძირი. აქედან კოლმეურნეობებში ეს ციფრი შეადგენდა 232 159 ძირს, ხოლო კარ-მიდამოებში დარგული იყო 234 451 ძირი. გურიაში მასობრივად დაიწყო ჩაის მოყვანა, 1937 წლისათვის ეს ციფრი შეადგენდა 7076 ჰექტარს (კომუნისტი, საკოლმეურნეო შრომის ბრწყინვალე გამარჯვება, 1937). იხ. ცხრილი:



1930 წლიდან 1936 წლამდე გაიზარდა დარგული ციტრუსოვანი ხეების რაოდენობა. ქვეყნის ინდუსტრიული გეგმის თანახმად, 1927 წლიდან დაიგეგმა მნიშვნელოვანი მშენებლობები საქართველოს ავტონომიურ რეგიონებში-აფხაზეთსა და აჭარაში. 1927-28 წლებში დაიწყო ტყვარჩელის ნახშირის საბადოს დამუშავება, ბათუმში ნავთსაწმენდის აგება. 1936 წლისათვის სოხუმში უნდა აშენებულიყო ნავსადგური, რომელის ღირებულება შეადგენდა 13 მილიონ მანეთს. ნავსადგურში დასაქმდებოდა 2000-მდე ადამიანი და უნდა არჭურვილიყო ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების მიხედვით. 1932-33 წლებში დასრულდა ნატახტრის წყალსადენის მშენებლობა, რითიც ჩანაცვლდა მტკვრის წყალი თბილისისთვის.

პროპაგანდის თანახმად, 1937 წლისთვის საქართველოში საკმაოდ მრავლად იყო ფაბრიკა-ქარხნები. აშენებული იყო გურჯაანისა და ბორჯომის საორთქლმავლო დეპო, ქუთაისში არსებობდა მაუდის ფაბრიკა, კამვოლ-მაუდის ფაბრიკა იყო თბილისში. აბრეშუმის ძაფსაგრეხი ფაბრიკები იყო: ქუთაისში, წულუკიძის, მახარაძის, თელავისა და სამტრედიის რაიონებში. სამკერვალო ფაბრიკები აშენდა ქუთაისსა და ბათუმში. საქართველოში არსებობდა ექვსი ფეხსაცმლის ფაბრიკა, საგალანტერიო, მუსიკალური ინსტრუმენტების, ჯაგრისის, ტრიკოტაჟისა და სამკაულების საწარმოები. სწრაფად განვითარდა დედაქალაქიც. თბილისში აშენდა ქარხნები, ღმრაღელეზე აშენდა კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხანა, ავტოსარემონტო ქარხანა და სატრიკოტაჟო კომბინატი. აიგო მაუდ-კამვოლის დიდი ფაბრიკა, ჩაის საწონი ფაბრიკა, შამპანიურის ღვინოების კომბინატი, ამუშავდა ტროლეიბუსი.

განვითარდა აბრეშუმის მრეწველობა. 1927-28 წლებში დამზადდა 4,3 მილიონი მანეთის პროდუქცია, 1937 წლისთვის გაიზარდა 50 მილიონამდე. იზრდებოდა მატყლისა და ბამბის მრეწველობა-1927-28 წლებში პროდუქცია შეადგენდა 3 მილიონ მანეთს. 1937 წელს გაიზარდა 29 მილიონ მანეთამდე. წლიდან წლამდე იზრდებოდა მუშათა რაოდენობაც. აბრეშუმის მრეწველობაში ჩარიცხულ მუშათა რაოდენობა 1927-28 წლებში იყო 1574. 1937 წლისათვის გაიზარდა 5000 მდე. 1936 წლისთვის ზესტაფონის ფერომარგანეცის ქარხანამ გამოუშვა 27,7 ათასი ტონა ელექტროფერო შენადნობი. გაზრდილი იყო მუშათა წლიური ხელფასი საქართველოს მთელ სახალხო მეურნეობაში 1928 წელს ის შეადგენდა 846 მანეთს, 1936 წელს - 3014 მანეთს. მსხვილი მრეწველობის მუშების წლიური ხელფასი 1928 წელს-882მ, 1936 წელს შეადგენდა 2 852 მანეთს (საქართველოს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XX წლის თავზე, 1937).

პარტიის წევრები ყრილობებზე გამოსვლის დროს აცხადებდნენ, რომ ხუთწლიანი გეგმა წარმატებით სრულდებოდა. გაზეთი „კომუნისტი“ წერდა: „ქართველმა ხალხმა დიდი

სტალინის ერთგული მოწაფის ამხ. ბერიას ხელმძღვანელობით გაანადგურა რა კონტრ-რევოლუციონერი მენშევიკები, ბურჟუაზიული ნაციონალისტები-თავისი ხალხის გამცემლები დიდ წარმატებას მიაღწია სოციალისტური მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში“ (კომუნისტი, არჩევნების წარმატება საარჩევნო უბანში წყდება, 1937).

მიუხედავად ამისა, რეალობა ასეთი იყო: პირველი ხუთწლედი (1929-1933) საშუალოდ 60%-ით შესრულდა, მეორე ხუთწლედი (1933-1937), რომელსაც უფრო მასშტაბური ინდუსტრიული გეგმები ჰქონდა დასახული- 70%-ით (R., 2003, გვ. 118). უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირის არსებობის განმავლობაში, კომპარტიის მიერ დასახული არცერთი ხუთწლედი არ შესრულებულა სრულად და წარმატებით. საბჭოთა კავშირამდე არსებული მდგომარეობა გაუარესებულად იყო წარმოდგენილი იმ მიზნით, რომ საბჭოთა დროს გაკეთებული უკეთ წარმოჩენილიყო ადამიანიანების თვალში. 1933 წლის გამოსვლაში სტალინმა პირველი ხუთწლედის შესახებ ისაუბრა. ის ამბობდა, რომ მეფის დროს რუსეთში არ არსებობდა შავი მეტალურგია, არ იყო ქიმიური წარმოება (Сборник статей. Сост. Мерцалов А.Н, 1991, გვ. 32). სინამდვილეში ეს ყველაფერი არსებობდა, მაგრამ არა დიდი მასშტაბებით. საქართველოში, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის სხვა რეგიონებში, ტარდებობა სამეურნეო ექსპერიმენტები, რომელთა უმრავლესობაც არ ამართლებდა.

1930 წელს სამტრედიის ინდუსტრიული აგროკომბინატისათვის გამოყოფილი იყო 75 ჰექტარი. გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ შეიძლებოდა ეს რიცხვი გაზრდილიყო 132 ათას ჰექტრამდე. წლიური შემოსავალი უნდა ყოფილიყო 102 მილიონი მანეთი. კომბინატი აშენდა რამდენიმე ადგილას: სენაკში, ქუთაისის ოლქში, მდინარე რიონის, ჯაიხიჯის, ცივის, სოფელ ნაქალაქევის, მდინარე ცხენისწყალისა და სოფელ წყალტუბოს შორის. რეგიონებში კარგი პირობები იყო ფორთოხლის, მანდარინის, ევკალიპტის (ჭინის ხე), ბამბუკის (იაპონური ლერწამი), რამის(ჩინური ჭინჭარი) ახალ ზელანდიური სელის დასათესად, მიწისთხილის, ზეთისხილის, გერანის (ბალბა) მოსაყვანად. გეგმის თანახმად, ყველაფერი უნდა დათესილიყო 132 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე.

ინდუსტრიალიზაციას საბჭოთა კავშირისათვის არ მოუტანია ის შედეგი, რასაც მოელოდნენ. კანდიდ ჩარკვიანი თავის მოგონებებში იხსენებს, რომ 1947 წლის თებერვალში საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე განიხილეს სოფლის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებების შემუშავების გზები, სადაც დადგენილებაში შევიდა ციტრუსოვან კულტურათა განვითარების დავალებაც. დადგენილებაში ეწერა, რომ უნდა მომხდარიყო ციტრუსოვან კულტურათა ფართობების გადიდება და წარმოება მხოლოდ და მხოლოდ ფორთოხლისა და ლიმნის ნარგავების ხარჯზე, რაც კლიმატიდან გამომდინარე, ძნელი მისაღწევი იქნებოდა. კ. ჩარკვიანს ურჩიეს, რომ საწინააღმდეგო აზრი არ დაეფიქსირებინა, რადგან ეს მისთვის საფრთხის შემცველი იქნებოდა. მოცემული საკითხი თავად სტალინს ჰქონდა გადაწყვეტილი (ჩარკვიანი, 2015, გვ. 72).

განსაკუთრებულად რთული აღმოჩნდა მეორე ხუთწლედი, დასახული მიზნებიდან გამომდინარე. 1937 წლისთვის საქართველოში მიწის მასობრივ დამუშავებასთან დაკავშირებით შეიქმნა პრობლემა, გაზეთ „კომუნისტის“ ყველა ნომერში იწერებოდა შემაშფოთებელი წერილები დაგვიანებული თესვისა და საქმის არშესრულების შესახებ. განსაკუთრებით ჩამორჩებოდა დასავლეთ საქართველოს რეგიონები, კოლმეურნეობებში თესვის დასაწყების სამუშაოებს მოუმზადებელი ხვდებოდნენ. გეგმის თანახმად, საქართველოში პირუტყვის საკვები კულტურა უნდა დათესილიყო 49 900 ჰექტარზე, რაც წინა წლებთან შედარებით 11 226 ჰექტარით მეტი იყო.

გაზეთებში ქვეყნდებოდა რეგიონებიდან გამოგზავნილი კრიტიკული წერილები. გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ ერთ-ერთ სტატიაში ავტორი წერდა, თუ როგორ ნადგურდებოდა თბილისის შემოგარენის დაცული ტყეები მცხეთაში, ძეგვში, წეროვანში, ნატახტარსა და ნიჩბისში. ავტორის თქმით, ხალხის მტრები მასობრივად ჭრიდნენ ხეებს,

ანაგვიანებდნენ სატყეო ფართს. მიზეზად კი თბილისის საბჭოს სატყეო განყოფილების ხელმძღვანელობის არაოპერატიულობას ასახელებდა.

ჩოხატაურის რაიონის კოლმეურნეობაში, რომელიც 1931 წელს დაარსდა, მდგომარეობის გაუარესების მიზეზად ტროცკისტ-ჯაშუშების მავნებლობა დასახელდა. ჩატარდა გამოძიება და დააკავეს რამდენიმე პირი: ტერენტი მელუა, ილარიონ ლომთათიძე, კოწია დუმბაძე, ნესტორ შანიძე, ნიკიტა ცენტრაძე, ჩოხატაურის რაიმიწგანყოფილების ყოფილი გამგე-აბრაამ სოსელია.

დაკავებულმა ა. სოსელიამ 1936 წლის 12 მაისს ჩატარებულ კოლმეურნეობის საერთო კრებაზე დადგენილების გარეშე გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც, ილარიონ ლომთათიძე გაათავისუფლა ფერმის გამგის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან. ფერმის გამგედ კი ტერენტი მელუა დანიშნა. 1936 წელს აბრაამ სოსელიას რჩევითა და განკარგულებით, ფერმის პირუტყვი გაიგზავნა საზაფხულო საძოვარზე, აგარაკ ბახმაროს მახლობლად, სადაც პირუტყვის გამოსაკვებად კარგი პირობები არ იყო. თავმჯდომარემ თავისი გადაწყვეტილება, იმით ახსნა, რომ ბახმაროს მოაგარაკეებს მიაწვდიდნენ რძესა და ყველს. აბრაამ სოსელიამ სხვა კოლმეურნეობებსაც იგივე გააკეთებინა, რის გამოც საქონელმა წონაში დაიკლო და სამ თვეში დაიხოცა 40 სული პირუტყვი დაიღუპა (ცინცაძე, 1937).

მსგავსი ამბავი არ იყო ერთი კონკრეტული შემთხვევა. დიდ პრობლემას წარმოადგენდა ასევე ჩაისა და ციტრუსოვანი მცენარეების მოკრეფის ვადების გადაცდომა. 1934 წლის გაზაფხულზე აჭარაში 10 ჰექტარზე საცდელად დათესეს ამერიკული კარტოფილი- ბატატი. ვარაუდის საფუძველზე, ჰექტარზე უნდა მოსულიყო 50-100 ტონა მოსავალი. მოლოდინი არ გამართლდა. მიუხედავად ამისა, საზოგადოებრივი პროტესტი რეგიონებში მიმართული არ იყო არასწორი და რეგიონისთვის შეუსაბამო პროდუქციის მასშტაბური წარმოების წინააღმდეგ. ადამიანები უკმაყოფილებას გამოხატავდნენ პარტიის ზოგიერთ წევრთა უმოქმედობაზე და მოითხოვდნენ მათ სათანადოდ დასჯას. რეჟიმი ღიად საუბრობდა დასჯის მეთოდებსა და მავნე ელემენტებისაგან პარტიის გაწმენდის შესახებ.

საბჭოთა ეკონომიკაში 1937 წელი იყო გარდამავალი პერიოდი. სირთულეს წარმოადგენდა გამომუშავებისა და შეფასების ნორმები. ხშირად წესდებოდა შრომის გამომუშავების მეტად მაღალი ნორმები, რომელთა შესრულება ფაქტობრივად შეუძლებელი იყო. რაც ყველა რეგიონისათვის ინდივიდუალურად უნდა შექმნილიყო.

საქართველოში, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის სხვა რეგიონებში, ტარდებოდა სამეურნეო ექსპერიმენტები, რომელთა უმრავლესობაც არ ამართლებდა. საბჭოთა ხელისუფლებამ გადაწყვიტა ღორებისა და კურდღლების მოშენება. 1931 წლისათვის ნავარაუდევი იყო კოლმეურნეობებში ხუთი მილიონი ღორის მოშენება. ღორები და კურდღლები ჭამდნენ ყველანაირი ტიპის საკვებს და მრავლდებოდნენ შედარებით სწრაფად. პარტიამ სასურველი შედეგი ვერ მიიღო. დამნაშავეებად კულაკები და მათი მავნებლობა დაასახელა.

დასკვნა

თუკი დღეს ქართველი მკვლევარი მოინდომებს საქართველოს ისტორიის ამ პერიოდის ეკონომიკური სისტემის მდგომარეობის შესწავლას, ის პრაქტიკულად ვერაფერს იპოვის იმ პერიოდის ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული სტატისტიკისა და მეცნიერთა მიერ ეკონომიკის ზოგადი მიმოხილვის გარდა. ფრაგმენტულად არის შესწავლილი საქართველოში კოლექტივიზაციის დროს განხორციელებული რეპრესიები და ამ პროცესის თანმხლები უამრავი მწვავე პრობლემა. შეუძლებელია, ზუსტი ცნობებისა და სტატისტიკის მოყვანა, თუ რამდენი ადამიანი შეეწირა ამ პროცესს. სამწუხაროდ, 90-იან წლებში საქართველოში შექმნილი არამდგრადი პოლიტიკური მდგომარეობის გამო, საბჭოთა

კავშირის ისტორიის კვლევა, განსხვავებით სხვა ყოფილი საბჭოთა ქვეყნებისაგან, გვიან დაიწყო.

საბჭოთა კავშირის პროპაგანდის მიუხედავად, რომელიც ცდილობდა საქართველოში არსებული ინდუსტრიული გარდაქმნები წარმოეჩინა წარმატებულად, რეალობა საკმაოდ მძიმე იყო. მრეწველობის ზრდა და ახალი საწარმოების მშენებლობა ხშირად სტატისტიკურად უფრო დიდი მასშტაბებით იყო წარმოჩენილი, ვიდრე სინამდვილეში. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, საბჭოთა კავშირში არცერთი ხუთწლედი არ შესრულებულა. ისევე როგორც მძიმე მრეწველობის მიმართულებით წარმოებული პოლიტიკა.

საბჭოთა კავშირისათვის ადამიანების ტერორი და სისტემური დაშინება ნორმად მიიჩნეოდა. იოსებ სტალინმა ჩავარდნილი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგები გამოიყენა მისი ოპონენტების მოსაშორებლად. 1937-1938 წლების მასობრივმა ტერორმა უამრავი სიცოცხლე შეიწირა.

კოლექტივიზაცია-ინდუსტრიალიზაციის დროს საბჭოთა კავშირის მასშტაბით უამრავი ადამიანი საკუთარი საცხოვრებლიდან აყარეს, გადაასახლეს, დახვრიტეს და დაიჭირეს.

გამოყენებული ლიტერატურა

R., G. P. (2003). *The Political Economy of Stalinism.* Cambridge University Press; 1st edition .

Sheila Fitzpatrick, A. R. (1991). *Russia in the Era of NEP: Explorations in Soviet Society and Culture.* Indiana University Press.

Алексеевич, И. Н. (2004). *Судьба раскулаченных в СССР.* Москва: Собрание .

Р, Ш. Д. (2014). *Сталинский военный социализм. Репрессии и общественный порядок в Советском Союзе, 1924-1953 гг.* Политическая энциклопедия.

Сборник статей. Сост. Мерцалов А.Н. (1991). *История и сталинизм.* Политиздат.

გოგიაშვილი, ე. (1937, ოქტომბერი 12). ეხმაურებიან ბოდბელების გამოწვევას. *კომუნისტი*, p. 2. Retrieved from https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/284819/1/Komunisti_1937_N234.pdf

თურმანიძე, ო. (2019). *საბჭოთა რეჟიმი და მასობრივი რეპრესიები აჭარაში (1921-1952წ.წ.).* ბათუმი: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწ. უნივერსიტეტი.

კომუნისტი. (1921, ოქტომბერი 21). სურსათი. *კომუნისტი*, p. 1. Retrieved from https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/162725/1/Komunisti_1921_N191.pdf

კომუნისტი. (1932, დეკემბერი 29). საქართველოს მსუბუქ მრეწველობას- მაღალი ტემპები. *კომუნისტი*, p. 1. Retrieved from https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/336337/1/Komunisti_1932_N301.pdf

კომუნისტი. (1937, ნოემბერი 20). არჩევნების წარმატება საარჩევნო უბანში წყდება. *კომუნისტი*, p. 1. Retrieved from https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/284974/1/Komunisti_1937_N264.pdf

კომუნისტი. (1937, ოქტომბერი 28). საკოლმეურნეო შრომის ბრწყინვალე გამარჯვება. *კომუნისტი*, p. 3. Retrieved from https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/284944/1/Komunisti_1937_N247.pdf

კომუნისტი. (1937, ოქტომბერი 30). სახალხო ჯანმრთელობის დაცვა. *კომუნისტი*, p. 4. Retrieved from https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/284947/1/Komunisti_1937_N249.pdf

მახარაძე, ფ. (1930). *უდიდესი გარდატეხის ხანა სოფლის მეურნეობაში.* N 18. „კოლექტივიზაცია“-ს ბიბლიოთეკა.

რედ. მერკვილაძე ვლ. (1961). *საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია.* თბილისი: სახელმწიფო გამომცემლობა საბჭოთა საქართველო.

ს. კურტუა, ნ. ვ.-ლ.-ლ. (2011). *კომუნიზმის შავი წიგნი: დანაშაულებები, ტერორი, რეპრესია.* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

საქართველოს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XX წლის თავზე. (1937 წლის ნოემბერი ნოემბერი). *კომუნისტი*, გვ. 2. მოპოვებული https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/284950/1/Komunisti_1937_N250.pdf-დან

ჩარკვიანი, კ. (2015). *სტალინთან ურთიერთობის ეპიზოდები.* თბილისი: არტანუჯი.

ცინცაძე, პ. (1937, ივნისი 21). მავნებლები ფერმიდან. *კომუნისტი*, p. 3. Retrieved from https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/335278/1/Komunisti_1937_N140.pdf

REFERENCES

charkvian, k. (2015). stalin tan urtiertobis epizodebi [Episodes of Relations with Stalin] (g. charkvian, ed.). Tbilisi: Artanuji.

courtois, s., vert, n., panet, j.-l., pachkovsky, a., bartosek, k., & margolin, j.-l. (2011). the black book of communism. Tbilisi.

fitzpatrick, s., rabinowitch, a., & stites, r. (1991). russia in the era of nep: explorations in soviet society and culture. bloomington: indiana university press.

gregory, p. r. (2003). the political economy of stalinism. cambridge: cambridge university press.

ivnitskiy, n. a. (2004). sud'ba raskulachennykh v sssr [The Fate of Dekulakized in the USSR]. moskva: sobranie.

makharadze, p. (1930). sak'vlis msheneblobis didi gadatq'ma [The Great Breakthrough Period in Agriculture]. Tbilisi: "Collectivization" Library.

mertsalov, a. n. (ed.). (1991). istoriya i stalinizm: sbornik statey [History and Stalinism: Collection of Articles]. moskva: politizdat.

rukhadze, l. (1937, november 22). sakartvelos srapadi mshenebloba oktombris 20-sa ts'lis yubileistvis [Light Industry of Georgia on the 20th Anniversary of October]. communist, 23(243), p. 3. https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/284940/1/Komunisti_1937_N243.pdf

sheirer, d. r. (2014). stalinskiy voyennyy sotsializm: repressii i obshchestvennyy poryadok v sovetskom soyuze, 1924-1953 gg. [Stalinist Military Socialism: Repressions and Public Order in the Soviet Union, 1924-1953] (a. l. raskin, trans.). moskva: politicheskaya entsiklopediya.

stalin, i. (1950). sochineniya: mart 1928 - mart 1929 gg. [Works: March 1928 – March 1929] (vol.

11). Tbilisi: political literature sector.

tsintsadze, p. (1937). msheneblobidan mownarebi parazit'ebis sakme [Pests from the Farm]. communist, 21(140), p. 3. https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/335278/1/Komunisti_1937_N140.pdf

turmanidze, o. (2019). sovieturi rejimi da masobrivi represiebi ach'arashi, 1921-1952 ts'lebshi [Soviet Regime and Mass Repression in Adjara, 1921-1952]. batumi: shota rustaveli state university.

exemplary victory of agricultural labor. (1937, october 28). komunisti [Communist], no. 247, .3. https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/284944/1/Komunisti_1937_N247.pdf

gogishvili, e. (1937). bodbesta gamomwodebeli gamowalili dasazghvravs [Responding to the Challenge of Bodbe (Zestaponi "Communist" Correspondent)]. komunisti [Communist],12(234),p.2. https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/284819/1/Komunisti_1937_N234.pdf

indictment conclusion. (1937, october 30). komunisti [Communist], no. 249, pp. 2–4. https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/284947/1/Komunisti_1937_N249.pdf

groceries. (1921, october 21). komunisti [Communist], no. 191, p. 1. https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/162725/1/Komunisti_1921_N191.pdf

light industry of georgia — high speeds. (1932, october 29). komunisti [Communist], no. 301,p.1. https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/336337/1/Komunisti_1932_N301.pdf

process of the counterrevolutionary, diversionist-malevolent, terrorist-rebellious, spy organization in abkhazia. (1937, november 1). komunisti [Communist], no. 250, p. 3. https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/284950

the success of elections ends in the electoral district. (1937, november 20). komunisti [Communist],no.264,p.1. https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/284974/1/Komunisti_1937_N264.pdf